

გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება № XX.XXXXXXXXX.XXX

ქ. თბილისი

თარიღი: dd-mm-yyyy წ.

მსესხებელი: სახელი / გვარი

დაბადებული: dd-mm-yyyy წ.

რეგ. მისამართი:

ფაქტ. მისამართი:

პირადი №:

საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ნომერი:

პირადობის მოწმობის გაცემის თარიღი: dd-mm-yyyy წ.

ელ.- ფოსტა:

ტელ: 599-XX-XX-XX

გამსესხებელი:

სააქციო საზოგადოება მისო „ქართული კრედიტი“

რეგ. მისამართი: ქ. თბილისი, სანდრო ეულის ქ. N7.

საინდენტიფიკაციო კოდი: №206238800

ტელ: (+995 32) 2 500 100

რუსთავის ფილიალის მენეჯერი: გიორგი დორეული (მინდობილობა გაცემული XXX რეესტრის ნომერი: №XXX)

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით მხარეები თანხმდებიან დადონ გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება.

1.2. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, კრედიტის გამცემი აძლევს შესაძლებლობას მსესხებელს კრედიტის სახით მიიღოს გარკვეული თანხა. მსესხებლისათვის კრედიტის მიცემის წესი და პირობები განისაზღვრება ამ ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულებით.

2. კრედიტის საბაზისო პირობები და ვადა

2.1. წინამდებარე ხელშეკრულებით მსესხებელს გენერალური საკრედიტო ლიმიტი განისაზღვრება XXX (თანხა სიტყვიერად) (ექვივალენტი აშშ დოლარში, ევროში)

2.2. ამ ხელშეკრულების ფარგლებში გასაცემი სესხის ზღვრული პირობებია:

2.2.1. კრედიტით სარგებლობისათვის საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება წლიური XX%-დან XX%-ის ოდენობით.

2.2.2. პირგასამტეხლო: ვადაგადაცილებული ძირითადი თანხის 0%-დან 0,5%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

2.2.3. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება XX თვით.

2.3. მსესხებელი ვალდებულია გადაიხადოს კრედიტის გაცემისათვის მომსახურების საკომისიო კრედიტის თანხის 0%-დან - 5%-ის ოდენობით. აღნიშნული საკომისიოს დაკავება სს მისო „ქართული კრედიტი“ მიერ ხდება კრედიტის გაცემისას.

2.4. კრედიტის ვადამდე ადრე, სრულად ან ნაწილობრივ დაფარვის შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებულია გადაიხადოს ადრე დაფარვის საკომისიო, მის მიერ გადასახდელი ძირითადი თანხის 0%-დან - 5%-ის ოდენობით.

3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველყოფა

3.1. წინამდებარე გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებული კონკრეტული საკრედიტო ხელშეკრულებების უზრუნველყოფა(ებ)ს წარმოადგენს იპოთეკით დატვირთული ქონება ან/და გირავნობის საგანი ან/და თავდებობა შემდეგი ხელშეკრულებების შესაბამისად:

№ XXXX

3.2. მსესხებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით და მის ფარგლებში გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში, გამსესხებელი უფლებამოსილია საკუთარი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად გამოიყენოს კანონმდებლობით, საკრედიტო ხელშეკრულებითა და იპოთეკის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული უფლებამოსილებები. კერძოდ, მოახდინოს შესაბამის ქონებაზე გადახდევინების მიქცევა და კლიენტის მიერ ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად დატვირთული ქონების რეალიზაცია.

3.3. თუ იპოთეკის/გირავნობის საგნის გამსესხებლის (იპოთეკარის/მოგირავნის) საკუთრებაში გადაცემის ან გამსესხებლის (იპოთეკარის/მოგირავნის) მიერ მისი რეალიზაციის შემთხვევაში იპოთეკის/გირავნობის საგნის ღირებულება მთლიანად არ დაფარავს კრედიტორის მოთხოვნას ან იპოთეკის/გირავნობის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა საკმარისი არ აღმოჩნდება იპოთეკით/გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის და რეალიზაციის პროცესში წარმოშობილი ხარჯების დასაფარად, გამსესხებელს (იპოთეკარს/მოგირავნეს) უფლება აქვს დაიკმაყოფილოს მოთხოვნა მსესხებლის სხვა ნებისმიერი აქტივის ხარჯზე.

4. განცხადებები და გარანტიები

4.1. მსესხებელი ადასტურებს, რომ:

- 4.1.1. მას გააჩნია წინამდებარე ხელშეკრულების და მასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების დადებისა და შესრულებისათვის საჭირო უფლებამოსილება და შესაძლებლობა;
- 4.1.2. არ მონაწილეობს არცერთ სასამართლო პროცესში (მოსარჩელის, მოპასუხის ან მესამე პირის სახით), რაც საფრთხეს უქმნის მსესხებლის ქონებას და/ან აქტივებს;
- 4.1.3. წარუდგინა გამსესხებელს ინფორმაცია ხელშეკრულების დადების დღისათვის არსებული ყველა ვალდებულების შესახებ;
- 4.1.4. ხელშეკრულების დადება და შესრულება არ იწვევს მსესხებლის მიერ დადებული რომელიმე გარიგების, რომლის მხარესაც წარმოადგენს მსესხებელი, პირობის დარღვევას.
- 4.1.5. ამ ხელშეკრულების დადების დღეს მისი ადგილსამყოფელია ამ ხელშეკრულებაში მითითებული მისამართი;
- 4.1.6. მისამართის ცვლილების შემთხვევაში 5 (ხუთი) დღის ვადაში წერილობით აცნობებს გამსესხებელს ამის თაობაზე და მიუთითებს ახალ მისამართს.
- 4.1.7. დროულად წარუდგენს გამსესხებელს შესაბამის დოკუმენტებს კანონით გათვალისწინებული (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და გამსესხებლისათვის დამაკმაყოფილებელი ფორმითა და მოცულობით;
- 4.1.8. ადგილი არ ექნება რაიმე გარემოებას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მსესხებლის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა ჯეროვნად შესრულებაზე.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა, ხელშეკრულების შეწყვეტა

- 5.1. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს ამ ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება.
- 5.2. გამსესხებლისა და მსესხებლის პასუხისმგებლობა დეტალურად განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულებითა და მის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებებით.
- 5.3. მსესხებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ან მის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ნებისმიერი პირობის დარღვევის შემთხვევაში, გამსესხებელი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მოსთხოვოს მსესხებელს ნაკისრი ვალდებულებების დაუყოვნებლივ და სრულად შესრულება, აგრეთვე, ხელშეკრულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. გამსესხებელი წინასწარ ატყობინებს მსესხებელს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
- 5.4. გამსესხებელი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება თუ, მსესხებელი გადააცილებს ზედიზედ, სულ ცოტა, სესხის დაფარვის გრაფიკით გათვალისწინებული გადახდის ორ ვადას.
- 5.5. გამსესხებელი უფლებამოსილია წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში კრედიტი გადასცეს მესამე პირს მსესხებელთან წინასწარი შეთანხმების გარეშე.
- 5.6. მსესხებელს ეკისრება ხელშეკრულებით გათვალისწინებული იპოთეკის საგნის რეალიზაციის, სასამართლოსა და საარბიტრაჟო ხარჯები ასეთის დადგომის შემთხვევაში.

6. დავების გადაწყვეტა და საარბიტრაჟო შეთანხმება

- 6.1. ნებისმიერი უთანხმოება, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას ამ ხელშეკრულების შესრულების პროცესში, იქნება გადაწყვეტილი მხარეთა შორის ურთიერთმოლაპარაკების გზით.
- 6.2. მხარეები თანხმდებიან, რომ ნებისმიერი დავა, წარმოშობილი წინამდებარე ხელშეკრულებიდან ან მასთან დაკავშირებით, მათ შორის ნებისმიერი საკითხი ხელშეკრულების ან/და საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის, ნამდვილობისა და შეწყვეტის შესახებ, განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით უნდა გადაეცეს მუდმივმოქმედ არბიტრაჟს: შპს „საარბიტრაჟო სასამართლო ლეგია“, ს/კ 406091517, ვებ.გვერდი: www.legia.ge.
- 6.3. მხარეები თანხმდებიან, რომ შპს „საარბიტრაჟო სასამართლო ლეგიას“ დებულება წარმოადგენს მხარეთა შორის დადებული წინამდებარე საარბიტრაჟო შეთანხმების განუყოფელ ნაწილს. შესაბამისად აღნიშნული დებულებით განისაზღვრება ყველა ის საკითხი, რომელთა სხვაგვარად განსაზღვრის უფლებაც მინიჭა მხარეებს საქართველოს კანონმა „არბიტრაჟის შესახებ“. მათ შორის ისეთი საკითხები, როგორცაა: არბიტრების რაოდენობა, მათი დანიშვნისა და აცილების წესი, სარჩელის განხილვის ვადები, სარჩელის მოთხოვნის უზრუნველყოფის ღონისძიებებისა და საარბიტრაჟო განხილვის წესები, მხარეებისათვის კორესპონდენციის გაგზავნის წესი და საშუალება.
- 6.4. მხარეები თანხმდებიან, რომ შპს „საარბიტრაჟო სასამართლო ლეგიას“ გადაწყვეტილებას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, აქვს სავალდებულო იურიდიული ძალა და ექვემდებარება აღსრულებას მხოლოდ არბიტრაჟის სააღსრულებლო ფურცლის საფუძველზე. შესაბამისად აღნიშნულ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება არ საჭიროებს სასამართლოს მიერ ცნობა-აღსრულებას.
- 6.5. მხარეები თანხმდებიან, რომ იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება მხარისათვის შეტყობინების/სარჩელის/კორესპონდენციის ჩაბარება, არბიტრაჟი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საჯარო შეტყობინების გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება გამოქვეყნდება შპს „საარბიტრაჟო სასამართლო ლეგიას“ ვებ გვერდზე www.legia.ge.

7. დასკვნითი დებულებები

- 7.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.
- 7.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებები ძალაში შესვლის მომენტიდან ხდებიან ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი.
- 7.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლების გამოყენებლობა არ წარმოადგენს ამ უფლებაზე უარის თქმას.
- 7.4. ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილობა არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას.
- 7.5. მსესხებლის ან მისი თავდების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მისამართზე გაგზავნილი წერილები ითვლება მიღებულად მიუხედავად იმისა, მისი ფაქტური ადგილსამყოფელი ემთხვევა თუ არა წერილის/შეტყობინების გაგზავნის დღეს გამსესხებლისათვის ცნობილ მისამართს, თუ ახალი მისამართის და იქ გადასვლის თარიღის შესახებ მსესხებელი წინასწარ წერილობით არ შეატყობინებს გამსესხებელს.
- 7.6. მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების ადგილად მიჩნეულია გამსესხებლის იურიდიული მისამართი.
- 7.7. მხარეთა შეთანხმებით, ნებისმიერ ელექტრონულ ხელმოწერას მხარეთა შორის აქვს მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი ძალა.
- 7.8. წინამდებარე ხელშეკრულება ვრცელდება მხარეთა უფლებამონაცვლეზე ან/და სამართალმემკვიდრეზე.
- 7.9. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად.
- 7.10. ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის ხელმოწერილი იქნება ორივე მხარის მიერ.

იმ შემთხვევაში თუ გადაწყვეტთ სს მისო „ქართულ კრედიტი“ ამა თუ იმ ფორმით თანხის განთავსებას, გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოცემულ გაფრთხილების ტექსტს და გაითვალისწინოთ:
სს მისო „ქართული კრედიტი“ არ არის ლიცენზირებული ბანკი და ბანკისგან განსხვავებით მასზე ვრცელდება მსუბუქი ზედამხედველობის რეჟიმი. მისი გაკოტრების შემთხვევაში, თქვენ შესაძლოა ვერ დაიბრუნოთ თქვენი თანხა.

მხარეთა რეკვიზიტები:

გამსესხებელი

მსესხებელი

სააქციო საზოგადოება მისო „ქართული კრედიტი“

სახელი/გვარი

ფილიალის მენეჯერი :

სახელი/გვარი